ჯაბა მესხიშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

იაპონიის სადავო ტერიტორიები

რეზიუმე

თანამედროვე იაპონიას მეზობელ ქვეყნებთან - ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, სამხრეთ კორეასა და რუსეთის ფედერაციასთან გადაუწყვეტელი ტერიტორიული დავები გააჩნია. დაპირისპირებულ მხარეები საკუთარი პოზიციების დაცვას, როგორც საერთაშორისო კანონმდებლობით, ასევე ისტორიული ფაქტების მოშველიებით ცდილობენ. აღნიშნული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, არა მოდავე მხარეთა პოზიციების სიმართლის დადგენა, არამედ დაინტერესებულ პირთათვის ისტორიული წარსულის გაცნობა. კვლევის დროს გამოყენებულ იქნა, ისტორიული დოკუმენტები, საკითხთან დაკავშირებული სხვათა კვლევები, ასევე ოფიციალური ცნობები და განცხადებები.

საკვანძო სიტყვები: *იაპონია, სადავო კუნძულები, ჩიშიმა/კურილი, სენკაკუ/დიაოუ დაო, ტაკეშიმა/დოკდო*

დავა რუსეთის ფედერაციასთან

კურილიის კუნძულები, იგივე ჩიშიმას კუნძულები, როგორც მას იაპონური მხარე უწოდებს, იაპონიასა და რუსეთის ფედერაციას შორის სადავო ტერიტორიულ საკითხს წარმოადგენს. აღნიშნული კუნძულების ოკუპაცია საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირმა (სსრკ) მეორე მსოფლიო ომის მიწურულს მოახდინა, ხოლო როდესაც ომი დასრულდა საბჭოთა მთავრობამ ოკუპირებული კუნძულებიდან ჯარი აღარ გაიყვანა და საბჭოთა კავშირის კუთვნილ ტერიტორიად გამოაცხადა. მას შემდეგ კუნძულები დღემდე სადავო საკითხად რჩება. იაპონიამ დავა ჯერ საბჭოთა კავშირთან, ხოლო მისი დაშლის შემდეგ რუსეთის ფედერაციასთან განაგრძო, რადგან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს კუნძულები რუსეთის ფედერაციის საზღვრებში აღმოჩნდა. დღესდღეობით კურილიის კუნძულებზე დაახლოებით 10 000 კაცამდე (მულტი ეთნიკური ჯგუფი) ცხოვრობს და სახალინის ოლქის ადმინისტრაციის მართავს, გარდა ამისა განთავსებულია რუსეთის ფედერაციის თავდაცვის ძალების რამდენიმე ათასიანი კონტიგენტი.[1]

სწორედ ეს კუნძულების გარშემო დავა არის მთავარი მიზეზი, რის გამოც დღემდე რუსეთის ფედერაციას და იაპონიას არ აქვთ გაფორმებული სამშვიდო ხელშეკრულება.

[1] Serafetin Yilmaz. ‘‘The Dokdo and Kuril Islands: Japan’s Twin Disputes’’, in *Asian Territorial and Maritime Disputes: A Critical Introduction*. ed. Moises de Souza, Dean Karalekas Gregory Coutaz (E-International Relations, 2022) – 90.

კურილიის კუნძულები შედგება 56 კუნძულისგან და მისი ფართობი მოიცავს 15 600 კმ². კუნძულები ტერიტორიულად მდებარეობს კუნძულ ჰოკაიდოს ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით ესაზღვრება წყნარი ოკეანე, ხოლო დასავლეთით ოხოტის ზღვა და კამჩატკის ნახევარკუნძული. 56 კუნძულს შორის სადავო ტერიტორიად მიიჩნევა მხოლოდ 4 კუნძული: კუნაშირი, ეტოროფუ (რუსულად ცნობილია როგორც იტურუპი), შიკოტანი და ჰაბომაი. აქედან უკანასკნელი 2 კუნძული ძალიან პატარაა და სადავო ტერიტორიის მხოლოდ 7 % პროცენტს შეადგენს[2].

ისტორიულად კურილიის კუნძულები დასახლებული იყო აინების ეთნიკური ჯგუფით (ჩრდილო იაპონიაში მცხოვრები აბორიგენი, ეთნიკური ჯგუფი). მე-19 საუკუნიდან ორივე ქვეყანამ დაიწყო კურილიის კუნძულების მიმართულებით აქტიური გაფართოება და დაკავებული ტერიტორიების ათვისება. ოფიციალური ტოკიოს განცხადებით, სადავო ტერიტორია იაპონელებმა რუსებზე ადრე აღმოაჩინეს და გამოიკვლიეს[3]. 1644 წელს ედოს პერიოდში გამოცემულ რუქაზე აღნიშნულია კუნძულები კუნაშირი და ეტოროჰო (ეტოროფუ). გარდა ამისა მაცუმაეს საფეოდალომ მე-17 საუკუნიდან თანდათან დაამყარა კონტროლი 4 კუნძულზე, ხოლო 1798 წელს, კუნძულ ეტოროფუზე აღმართეს ქვის სტელა, სადაც მითითებულია, რომ ეტოროფუ იაპონია [4]. თუმცა იაპონელებს არ ეთანხმება რუსეთის ფედერაცია და მათი მტკიცებით, აღნიშნული კუნძულები რუსეთის იმპერიაში შემადგენელი ნაწილი ჯერ კიდევ 1786 წელს გახდა.

რაც შეეხება იაპონიას, ის მე-17 საუკუნის დასაწყისიდან 1854 წლამდე ატარებდა თვითიზოლაციურ პოლიტიკას, რომლის დროსაც ნიდერლანდების გარდა არც ერთ დასავლურ სახელმწიფოსთან არ ჰქონდა ურთიერთობა. ეს ვითარება გაგრძელდა 1854 წლამდე, ვიდრე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არ აიძულა იაპონიის მაშინდელი ხელისუფლება გაეხსნა ქვეყანა გარეშე სახელმწიფოებთან ურთიერთობისთვის[5]. აღსანიშნავია რომ იმ დროინდელი იაპონია განვითარების მხრივ საგრძნობლად ჩამორჩებოდა მის თანამედროვე განვითარებულ სახელმწიფოებს, შესაბამისად არ წარმოადგენდა დასავლეთის ძლიერი სახელმწიფოებისთვის რთულად დასამორჩილებელ ქვეყანას. ამიტომ, ჯერ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ხოლო შემდეგ დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და სხვა ევროპულმა ქვეყნებმა ერთმანეთის მიყოლებით გააფორმეს იაპონიასთან ე.წ. „მეგობრული ხელშეკრულებები“, რომლის შინაარსიც არაპარიტეტული და იაპონიასათვის ზარალის მომტანი იყო.

სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა რუსეთის იმპერიასა და იაპონიის შორის გაფორმებული „ვაჭრობის, ნავიგაციისა და დელიმიტაციის ხელშეკრულება“ ე.წ. შიმოდას ხელშეკრულება (1855 წელი), რომლის ერთ-ერთი პუნქტი ორ სახელმწიფოს შორის საზღვრების განსაზღვრასაც ეხება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსეთის იმპერიამაც, მსგავსად სხვა დასავლური დიდი სახელმწიფოებისა,

---

[2] ''Kuril Islands dispute between Russia and Japan", last modified 29/04/2013, https://www.bbc.com/news/world-asia-pacific-11664434

[3] ''Northern Territories Issue". Ministry of Foreign Affairs of Japan https://www.mofa.go.jp/region/europe/russia/territory/overview.html accessed 07.09.2023

[4] *The Northen Territories*. (Published by the Ministry of Foreign Affairs of Japan, 2014) – 3.

[5] 宮地正人『国際政治下の近代日本』(山川出版社、1987), - 16. მიაიჩი მასატო, საერთაშორისო ურთიერთობების ქვეშ მყოფი თანამედროვე იაპონია (ტოკიო, იამაგავა 1987), - 16 გვ.

იაპონიას თავს მოახვია მისთვის სასარგებლო შინაარსის მქონე არაპარიტეტული ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად სანქტ-პეტერბურგმა კუნძულები ეტოროფუ, კუნაშირი, შიკოტანი და ჰაბომაო იაპონიის საკუთრებად ცნო [6]. როგორც ჩანს ამ კუნძულების ფლობაზე იაპონიის უფლებები იმდენად უპირატესი იყო, რომ რუსეთის იმპერიამაც, რომელიც მომგებიან პოზიციაში იყო, ვერ დახუჭა თვალი რეალობაზე და მის ტერიტორიად ჩათვალა. თავის მხრივ, კუნძულ ეტოროფუს ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიები იაპონიამ რუსეთის იმპერიის ნაწილად ცნო.

შიმოდას ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ერთგვარ გადაუწყვეტელ პრობლემად რჩებოდა სახალინის ნახევარკუნძულის საკითხი. 1875 წელს, რუსეთის იმპერიასა და იაპონიას შორის დაიდო „სანქტ-პეტერბურგის ხელშეკრულება“, რომლის მიხედვით რუსეთმა დათმო კონტროლი კურილიის ყველა კუნძულზე, სანაცვლოდ იაპონიამ სახალინზე რუსეთის უფლებები ცნო [7]. საინტერესო ის ფაქტიც, რომ ხელშეკრულებაში იაპონიისათვის გადაცემულ კურილიის კუნძულების უკიდურეს სამხრეთ კუნძულად მითითებულია კუნძული ურუპი, ხოლო უკიდურეს ჩრდილოეთ კუნძულად შუმუშუს კუნძულები. იაპონელთა მტკიცებით, ეს კიდევ უფრო ცხადად მიუთითებს იმ ფაქტს, რომ ეტოროფუს, კუნაშირის, ჰაბომაისა და შიკოტანის კუნძულები იაპონიის ბუნებრივი საკუთრება იყო, სხვა შემთხვევაში ხელშეკრულების ტექსტში აუცილებლად იქნებოდა მითითებული ზემოთ აღნიშნული 4 კუნძული [8].

1904-1905 წლებში რუსეთ-იაპონიის ომში, გამარჯვება მოიპოვა იაპონიამ. „პორტსმუთის საზავო“ ხელშეკრულებით რუსეთმა კიდევ ერთხელ ცნო კურილიის კუნძულები იაპონიის საკუთრებად, გარდა ამისა სახალინის ნახევარკუნძულის ნახევარიც (50-ე პარალელის სამხრეთი) დაუთმო იაპონლებს [9]. ცხადია რუსები ამ ფაქტს ვერ ეგუებოდნენ, თუმცა შექმნილი რეალობიდან გამომდინარე იძულებული იყვნენ ვითარება არ გაემწვავებინათ.

მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონია და საბჭოთა კავშირი საპირისპირო ბანაკებში აღმოჩნდნენ. თუმცა მათ შორის 1941 წლის 13 აპრილს 5 წლის ვადით დაიდო თავდაუსხმელობის პაქტი, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის ბოლომდე ორივე ქვეყანა იცავდა. თუმცა სსრკ-ში კურილიის კუნძულების საკითხი მაინც აღელვებდათ და როდესაც მისი დაბრუნების შანსი გაჩნდა, მისი გამოყენება გადაწყვიტეს. 1945 წლის თებერვალში იალტის კონფერენციაზე სტალინმა კუნძულების საკითხიც წამოჭრა. მოკავშირეებთან მოხერხდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ევროპაში ომის დასრულებიდან 3 თვეში სსრკ თავს დაესხმებოდა იაპონიას, სანაცვლოდ კი კურილიის კუნძულებს მიიღებდა [10].

მართლაც, იალტის კონფერენციის შეთანხმების შესაბამისად, ევროპაში ომის დასრულებიდან ზუსტად 3 თვეში საბჭოთა კავშირის ჯარებმა შეუტიეს იაპონიას და წარმატებული იერიშების წყალობით, 1945 წლის 18 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე

---

[6] ‘’Northern Territories Issue”. https://www.mofa.go.jp/region/europe/russia/territory/overview.html 06.09.2023

[7] Yilmaz. ‘’The Dokdo and Kuril Islands:’’ - 91.

[8] *The Northen Territories*.– 3 p.

[9] 飯塚 一幸. *日清・日露戦争と帝国日本*.(吉川弘文館2016) – 124. ᲘᲘᲫᲣᲯᲐ ᲙᲐᲫᲣᲘᲣᲯᲘ. ჩინეთ-იაპონიისა, რუსეთ-იაპონიის ომები და იაპონიის იმპერია (ᲘᲝᲨᲘᲯᲐᲯᲝᲣᲑᲣᲜᲯᲐᲜ, 2016) – 124.

[10] Yilmaz. ‘’The Dokdo and Kuril Islands:’’ – 91.

სამხრეთ სახალინის და კურილიის კუნძულები ოკუპაცია მოახდინეს.[11] ოკუპაციის დასაწყისში 17 291 იაპონელი ცხოვრობდა, ჰაბომაის, ეტოროფუს, კუნაშირისა და შიკოტანის კუნძულებზე. ოკუპაციის შემდეგ იაპონელთა ნაწილმა დატოვა საცხოვრებელი და იაპონიას შეაფარა თავი, ხოლო 1948 წელს საბჭოთა მხარემ ჯერ კიდევ შემორჩენილი ყველა იაპონელი გაასახლა ტერიტორიებიდან და სრულად აითვისა.[12] სწორედ ამ პერიოდიდან იწყება აღნიშნული ტერიტორების გარშემო იაპონიასა და სსრკ-ს (მოგვიანებით კი რუსეთის ფედერაცია) შორის დავა, რომელიც დღემდე არ არის გადაწყვეტილი.

1951 წელს ამერიკის შეერთებულ შტატების ქალაქ სან-ფრანცისკოში ხელი მოეწერა ე.წ. „სან-ფრანცისკო სამშვიდობო ხელშეკრულებას“ მეორე მსოფლიო ომში დამარცხებულ იაპონიასა და მოკავშირე სახელმწიფოებს შორის, სადაც დადასტურებული იყო იაპონიის უფლებები კურილიის კუნძულებზე. ამ პერიოდში ცივი ომი უკვე აქტიურ ფაზაში იყო შესული, ამიტომ საბჭოთა მხარემ უარი განაცხადა მასზე ხელი მოეწერა, შესაბამისად არც კურილის კუნძულებში არსებული სადავო ტერიტორიები დაუბრუნა იაპონიას.

ვინაიდან „სან-ფრანცისკო სამშვიდობო ხელშეკრულებას“ სსრკ არ შეუერთდა, იაპონიამ და სსრკ-მ ინდივიდუალურად დაიწყეს მოლაპარაკები. მართალია 1956 წელს საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის აღდგა დიპლომატიური ურთიერთობები, მაგრამ კურილიის კუნძულებზე დავის გამო, მათ შორის ვერ გაფორმდა სამშვიდობო ხელშეკრულება, რადგან საბჭოთა მხრიდან შეთავაზებული ხელშეკრულების ტექსტი, მხოლოდ შიკოტანის და ჰაბომაის კუნძულების დაბრუნებას გულისხმობდა [13]. 1955 წლის ივნისში, ლონდონში გამართულ შეხვედრაზე იაპონიამ სსრკ-ს ხელშეკრულების გაფორმების სანაცვლოდ, მოითხოვა კუნძულების ჰაბომაისა და შიკოტანის დაბრუნება. შეთავაზება მიუღებელი აღმოჩნდა საბჭოთა მხარისთვის, თუმცა მოგვიანებით დათანხმდნენ. მოსკოვმა იაპონიას პირობა წაუყენა, რომ კუნძულების დაბრუნების შემთხვევაში კუნძულები არა მილიტარიზებული უნდა ყოფილიყო და იქ ამერიკული სამხედრო ძალები არ უნდა განთავსებულიყვნენ. ეს ულტიმატუმი მიუღებელი აღმოჩნდა აშშ-სთვის, რომელსაც თავის ინტერესები გააჩნდა აღნიშნულ რეგიონში.

1956 წლის შუაწელში, იაპონია დათანხმდა სსრკ-ს პირობებს, რომელიც გულისხმობდა, რომ იაპონია თანახმა იყო 4 კუნძულის ნაცვლად მიეღო მხოლოდ 2 კუნძული - შიკოტანი და ჰაბომაი [14]. თუმცა აშშ-მ აცნობა, რომ თუ კი იაპონია საბჭოთა პირობებს მიიღებდა და არ მოითხოვდა ოთხივე კუნძულის უკან დაბრუნებას, ასეთ შემთხვევაში აშშ არ დაუბრუნებდა ოკინავას კუნძულებს იაპონიას, რომელიც მას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჰქონდა დროებით ოკუპირებული. ამის გამო, იაპონია იძულებული გახდა შეეწყვიტა სსრკ-სთან კუნძულების დაბრუნებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები [15].

---

[11] ‘’Northern Territories Issue”. https://www.mofa.go.jp/region/europe/russia/territory/overview.html accessed 06.09.2023

[12] ‘’Northern Territories Issue”. https://www.mofa.go.jp/region/europe/russia/territory/overview.html accessed 06.09.2023

[13] Yilmaz. ‘’The Dokdo and Kuril Islands:” – 92.

[14] *The Northen Territories*. – 5.

[15] Yilmaz. ‘’The Dokdo and Kuril Islands:” – 92.

1956 წლის 19 ოქტომბერს იაპონიასა და სსრკ-ს შორის მაინც აღდგა დიპლომატიური ურთიერთებობები[16]. ერთობლივ დეკლარაციაში განცხადებული იყო, რომ სსრკ თანახმა იყო იაპონიისთვის გადაეცა ჰაბომაის და შიკოტანის კუნძულები, როგორც კი სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდებოდა. თუმცა 1960 წელს, სსრკ-მ ცალმხრივად გააუქმა ზემოთ აღნიშნული დაპირება, იმ მოტივით რომ იაპონიამ აშშ-სთან დადო უსაფრთხოების ხელშეკრულება [17].

სსრკ-ს დანგრევის შემდეგ, რუსეთის ფედერაციამ ოფიციალურად ცნო კურილიის კუნძულების პრობლემა და დაადასტურა 1956 წლის დეკლარაციის სულისკვეთება. 1993 წლის ოქტომბერში იაპონიის პრემიერ-მინისტრი მორიჰორო ჰოსოკავა შეხვდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ბორის ელცინს და გაიმართა რამდენიმე რაუნდიანი მოლაპარაკები, რომლის დროსაც „იაპონია-რუსეთის ურთიერთობების შესახებ ტოკიოს დეკლარაციას“ ხელი მოეწერა. განხილვის ერთ-ერთი საკითხი სწორედ კუნძულების იაპონიისთვის დაბრუნებაც იყო. დეკლარაციის მე-2 მუხლში აღნიშნულია, რომ ტოკიო და მოსკოვი შეთანხმდნენ, რომ მოლაპარაკების დროს იხელმძღვანელებდნენ 1. დაფუძნებული ისტორიულ და სამართლებრივ ფაქტებზე; 2. ორი ქვეყნის შეთანხმებით შედგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით; 3. კანონისა და სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით. [18]

2001 წელს, იაპონელთა ოფიციალური დელეგაცია პრემიერ-მინისტრ იოშირო მორის ხელმძღვანელობით შეხვდა რუსეთის ახალ პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს[19]. შეხვედრის დროს ერთ-ერთი განსახილველი საკითხი კურილიის კუნძულების პრობლემაც იყო. მხარეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს პრობლემის არსებობა და მისი გადაჭრის გზად 1956 წლის იაპონია-სსრკ-ს დეკლარაცია და 1993 წლის ტოკიოს დეკლარაცია დაასახელეს (ირკუტსკის განცხადება, 2001 წლის 25 მარტი) [20].

2004 წელს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა იაპონიას შესთავაზა შიკოტანისა და ჰაბომაის კუნძულების დაბრუნება ტერიტორიული დავების მოგვარების და სამშვიდობო ხელშეკრულების სანაცვლოდ, თუმცა იაპონურმა მხარემ ეს შეთავაზება არ მიიღო. უარის თქმის მთავარი მიზეზი სწორედ სადავო ტერიორიები იყო. შეთავაზებული კუნძულები სადავო ტერიტორიის მხოლოდ 7 % მოიცავდა. ერთი შეხედვით თითქოს შთამბეჭდავად ჟღერდა 4 სადავო კუნძულიდან 2 კუნძული დაბრუნება, მაგრამ მეორე მხრივ სადავო კუნძულების ტერიტორიის მეათედსაც არ წარმოადგენდა. გარდა ამისა ჰაბომაის კუნძული რეალურად საცხოვრებლად ნაკლებად გამოდგება, რადგან კლდოვანი

---

[16] ‘’Northern Territories Issue”. https://www.mofa.go.jp/region/europe/russia/territory/overview.html accessed 06.09.2023

[17] Yilmaz. ‘’The Dokdo and Kuril Islands:” – 93.

[18] ‘’Tokyo Declaration on Japan-Russia Relations”. Ministry of Foreign Affairs of Japan. https://www.mofa.go.jp/region/n-america/us/q&a/declaration.html#:~:text=Japan%20and%20Russia.-,The%20Government%20of%20Japan%20and%20the%20Government%20of%20the%20Russian,have%20been%20conducted%20within%20the accessed 08.09.2023

[19] ‘’Northern Territories Issue”. https://www.mofa.go.jp/region/europe/russia/territory/overview.html accessed 06.09.2023

[20] ‘’Irkutsk Statement by the Prime Minister of Japan and the President of the Russian Federation on the Continuation of Future Negotiations on the Issue of a Peace Treaty”. Ministry of Foreign Affairs of Japan. https://www.mofa.go.jp/region/europe/russia/pmv0103/state.html accessed 08.09.2023

რელიეფით არის დაფარული [21].

2004 წლის შემდეგ, იაპონიისა და რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა კიდევ რამდენჯერმე შეხვდა ერთმანეთს. მხარეები თანხმდებიან რომ საკითხის მოგვარება აუცილებელია მოლაპარაკების გზით, თუმცა პრობლემა დღემდე კვლავ გადაუჭრელი რჩება.

2013 წელს, იაპონიის პრემიერ-მინისტრი შინძო აბე და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი შეხვედრისას შეთანხმდნენ, რომ ორივე ქვეყანა კვლავ გააგრძელებდა მოლაპარაკებებს სადავო ტერიტორიებთან დაკავშირებით[22]. მსგავსი განცხადებების მიუხედავად პრობლემის მოგვარება კვლავ ვერ მოხერხდა.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 2018 წლის 12 სექტემბერს, რუსეთის ფედერაციის ქალაქ ვლადივოსტოკში გამართულ აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკურ ფორუმზე მოულოდნელად იაპონიას სამშვიდობო ხელშეკრულების ყოველგვარი წინაპირობების გარეშე ხელის მოწერა შესთავაზა[23]. შეთავაზება მოულოდნელი აღმოჩნდა იაპონიის პრემიერ მინისტრ შინძო აბესთვის, ამიტომ მან ყოველგვარი კომენტარის გარეშე დატოვა პუტინის წინადადება. 13 სექტემბერს იაპონიამ ოფიციალური განცხადებით უარყო პუტინის შემოთავაზება და განაცხადა, რომ ვიდრე ტერიტორიული დავა არ მოგვარდება არ მოაწერედნენ ხელს მსგავს შინაარსის ხელშეკრულებას [24].

პუტინის შემოთავაზებიდან 2 თვის თავზე სინგაპურში, აზიურ ქვეყნების ლიდერების კონგრესი გაიმართა. რომლის ფარგლებში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი და იაპონიის პრემიერ მინისტრი შინძო ერთმანეთს შეხვდნენ და კიდევ ერთხელ განიხილეს რუსეთ-იაპონიას სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმების საკითხი. ორი ქვეყნის ლიდერი შეთანხმდა, რომ დააჩქარებდნენ ამ კუთხით მოლაპარაკების პროცესს. რუსეთის პრეზიდენტის სპიკერის დმიტრი პესკოვის განცხადებით, აღნიშნული ხელშეკრულება დაეყდრნობოდა საბჭოთა კავშირის 1956 წლის სამშვიდო ხელშეკრულების ტექსტს[25].

მისმა განცხადება იაპონიაში გააჩინა მოლოდინები, რომ რუსეთი აპირებდა იაპონიისთვის, შიკოტანის და ჰაბომაის კუნძულების დაბრუნებას, რადგან 1956 წლის ხელშეკრულების ტექსტი აღნიშნული კუნძულების დაბრუნებასაც ითვალისწინებდა, ამიტომ აღნიშნული საკითხის გარშემო დისკუსია გაიშალა, თუმცა რამდენიმე დღეში დმიტრი პესკოვმა განმარტა, რომ მოლაპარაკება მართალია დაუფუძნება 1956 წლის ტექსტს, მაგრამ არ გულისხმობს შიკოტანის და ჰაბომაის კუნძულების იაპონიისთვის ავტომატურ დაბრუნებას. რადგან კუნძულების საკითხი სხვა შეთანხმების საფუძველი შეიძლება გახდეს. პესკოვს მაინც მოუწია პასუხის გაცემა, კუნძულების გადაცემის შემთხვევაში იქ ამერიკული სამხედრო ბაზების განთავსების შემთხვევაში რუსეთი რა პოზიციას დაიკავებდა.

---

[21] ''Kuril Islands dispute between Russia and Japan", https://www.bbc.com/news/world-asia-pacific-11664434

[22] *The Northen Territories*. – 6.

[23] ''Vladimir Putin offers Kuril Islands peace deal to Japan's Abe". last modified 12.09.2018, https://www.dw.com/en/vladimir-putin-offers-kuril-islands-peace-deal-to-japans-abe/a-45459525

[24] ''Putin Offers Japan 'Peace Treaty Without Any Pre-Conditions". last modified 14.09.2018, https://thediplomat.com/2018/09/putin-offers-japan-peace-treaty-without-any-pre-conditions/

[25] ''Japan-Russia peace talks to focus on 2 of 4 disputed islands", last modified 15.11.2018, http://www.asahi.com/ajw/articles/AJ201811150039.html

პესკოვმა განაცხადა რომ ასეთ შემთხვევაში ამერიკული იქ ბაზები არ განთავსდება[26].

რუსეთის იმპერიიდან მოყოლებული, მისი ყველა სამართალმემკვიდრე ცდილობს ტერიტორიების გაფართოებას, მეზობელი ქვეყნების სრული ან ნაწილობრივი ანექსიის საშუალებით. ზოგჯერ ეს მხოლოდ ტერიტორია, ხოლო ზოგჯერ ამ ტერიტორიებს სხვა პრაქტიკული და ეკონომიკური დანიშნულებაც. კურილიის კუნძულებს მნიშვნელობას სწორედ ეს ორი უკანასკნელი საკითხი განსაზღვრავს.

სტრატეგიული მნიშვნელობა: აღმოსავლეთ რუსეთის მთავარ ქალაქ ვლადივოსტოკიდან წყნარ ოკეანეში გასასვლელად არის ორი მიმართულება; 1. გემებმა უნდა გადაჭრან იაპონიის ზღვა, შემდეგ გაცურონ სამხრეთ კორეასა და იაპონიას შორის, გადაკვეთინ აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვა, შემდეგ ოკინავას კუნძულების (იაპონიის კუნძულები, რომელზეც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზებია განლაგებული) შორის გავლით, ან ტაივანს შემოუარონ და ტაივანსა და ფილიპინებს შორის გავლით მოხვდნენ წყნარ ოკეანეში. 2. კუნძულ სახალინსა (რუსეთი) და კუნძულ ჰოკაიდოს (იაპონია) შორის გავლით და კურილიის კუნძულების გადაჭრით არის შესაძლებელი წყნარ ოკეანეში გასვლა. მეორე მარშუტი მნიშვნელოვნად მოკლეა და უსაფრთხო, რადგან არ საჭიროებს სხვა სახელმწიფოების ტერიტორიულ წყლებში გავლას.

ეკონომიკური მნიშვნელობა: კურილიის კუნძულის მიმდებარე ტერიტორია მდიდარია თევზის რეწვისთვის საჭირო ადგილებით, სწორედ ამ ადგილებში თევზაობით რუსეთი აწარმოებს ხიზილალას. მართალია იაპონიასა და რუსეთის ფედერაციას შორის არსებობს შეთანხმება, რომლითაც იაპონელ მეთევზეებს საშუალებას ეძლევა ითევზავონ აღნიშნულ წყლებში, მაგრამ თევზაობისთვის ძალიან მცირე კვოტა აქვთ გამოყოფილი. მაგალითად 2018 წლის მონაცემებით თევზაობას ექვემდებარებოდა 65 ათასი ტონა თევზი, რომელშიც იაპონიის წილი მხოლოდ 2180 ტონას შეადგენს. იაპონური მხარისთვის ამ ტერიტორიებში თევზაობა არ არის უფასო (მაგ. 2018 წელს 191 მილიონ აშშ დოლარი გადაიხადა). თევზის რეწვის გარდა კუნძულ ეტორუფუზე მოიპოვება ისეთი იშვიათი ქიმიური ელემენტი, როგორიც არის რენიუმი. ასევე არის ვარაუდები რომ კუნძულ ეტოროფუს მიდამოებში შესაძლოა იყო გაზით და ნავთობით მდიდარი საბადოები[27].

2020 წელს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომ სამხრეთ კურილიის ფლობა ლეგალურია და რუსეთის კონსტიტუცია კრძალავს ეროვნული ტერიტორიის ნებისმიერ სახით სხვა ქვეყნისთვის გადაცემას, ხოლო ამ საკითხთან მიმართებაში პოზიციის შეცვლა წარმოუდგენელია. რუსეთის მთავრობა ასევე უარყოფს არგუმენტს, რომ კუნძულები ტოკიოს დაუბრუნდება იაპონიასთან სამშვიდობო ხელშეკრულების დასრულების შემდეგ[28].

ზემოთ აღნიშნული ვითარება ხელს უშლის სადავო კუნძულების საკითხის

---

[26] " 北方領土 ２島返還の既定路線を否定 露「妥協が必要」", last modified 18.11.2018, https://mainichi.jp/articles/20181119/k00/00m/030/119000c

[27] "Russia, Japan set 2018 fishing quotas in Kuril Islands zone", last modified 23.11.2018, https://www.undercurrentnews.com/2017/11/23/russia-japan-set-2018-fishing-quotas-in-kuril-islands-zone/

[28] Yilmaz. "The Dokdo and Kuril Islands:" - 90-19.

მოლაპარაკების გზით მოგვარებას, ხოლო რუსეთ-უკრაინის ომის გამო კიდევ უფრო გართულდა. ოფიციალური ტოკიო ღიად აკრიტიკებს რუსეთის მეზობელ ქვეყანაში შეჭრას, დაუწესა სანქციები და უკრაინას მრავალმხრივ დახმარებას უწევს. ეს კი რუსეთის მმართველ წრეებში გაღიზიანებას იწვევს.

იაპონია-ჩინეთის სადავო ტერიტორია

კიდევ ერთი სადავო ტერიტორია, რომელიც იაპონიას გააჩნია, ეს არის სენკაკუს კუნძულთა ჯგუფი.

სენკაკუს კუნძულები მდებარეობს აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში. შედგება რამდენიმე მცირე ზომის კუნძულისგან და იაპონია-ჩინეთს შორის ურთიერთობაში დაძაბულობის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს. ამჟამად აღნიშნულ კუნძულთა ჯგუფი იაპონიის იურისდიქციაში არის მოქცეული, თუმცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა აცხადებს, რომ ის იაპონიას უკანონოდ აქვს მითვისებული და მისი ისტორიულ საკუთრებას წარმოადგენს. გარდა ამისა, ჩინური მხარე მას არა „სენკაკუს“ კუნძულებს, არამედ როგორც „დიაოუ დაოს“ კუნძულებად მოიხსენიებს. საინტერესოა, ის ფაქტიც, რომ აღნიშნული კუნძულების მიმართ, პრეტენზიას გამოთქვამს ტაივანიც, რომელიც თავის მხრივ სენკაკუს კუნძულებს „დიაოიუტაი ლიეიუს“ უწოდებს.[29]

სენკაკუს კუნძულების ჯგუფი მდებარეობს აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში და შედგება რამდენიმე მცირე ზომის კუნძულისგან; კუნძულები უოცური (3.81 კმ²), კიტაკოჯიმა (0.31 კმ²), კუბა (0.91 კმ²), მინამიკოჯიმა (0.40 კმ²), ტაიშო (0.06 კმ²), ოკინოკიტაივა (0.03 კმ²), ოკინოკიმინამიივა (0.01 კმ²) და ტობისე (0.002 კმ²) .[30] მათი ჯამური ფართოებია 5.53 კმ². კუნძულთა ჯგუფი, მდებარეობს კუნძულ იშიგაკიდან (იაპონია) დაახლოებით 170 კმ.-ს მანძილზე. იაპონიასთან ყველაზე ახლოს კუნძული ტაიშო 150 კმ.-ზე, ხოლო კუნძულ ოკინავადან (იაპონია) 410 კმ-ზე.[31] სხვა წყაროს მიხედვით, ის ოკინავადან დაშორებულია 351 კმ.-ზე, ჩინეთიდან 370 კმ.-ზე, ხოლო ტაივანიდან 220 კმ.-ზე [32].

1885 წელს რიუკიუს კუნძულები შევიდა ახლად შექმნილ ოკინავას პრეფექტურაში. სენკაკუს კუნძულთა ჯგუფიც, რომელიც რიუკიუს კუნძულების ნაწილი იყო, დე-ფაქტოდ ოკინავას პრეფექტურას დაექვემდებარა და იაპონიის მთავრობამ 10 წლის განმავლობაში ჩაატარა კვლევა, იყო თუ არა კუნძულებზე ჩინეთის იმპერიის საკუთრების დამადასტურებელი ნიშნები, არ ხომ არ წარმოადგენდა ტაივანის კუნძულის ან პესკადორის კუნძულთა ნაწილს. ვინაიდან კუნძულები დაუსახლებელი იყო და არც ერთი ქვეყნის საკუთრებას არ დადასტურდა, 1895 წლის 14 იანვარს, ტოკიომ საერთაშორისო სამართალში არსებული „ტერა ნულიუსის“[33] საფუძველზე, სენკაკუს კუნძულები ოფიციალურად

---

[29] Yichiro Sato and Astha Chadha. ''Understanding the Senkaku/ Diaoyu Islands Dispute: Diplomatic, Legal, and Strategic Contexts'', in *Asian Territorial and Maritime Disputes: A Critical Introduction*. ed. Moises de Souza, Dean Karalekas Gregory Coutaz (E-International Relations, 2022) – 48.

[30] ''Senkaku Islands". Ministry of Foreign Affairs of Japan https://www.mofa.go.jp/a_o/c_m1/senkaku/page1we_000009.html accessed 11.09.2023

[31] ''Senkaku Islands". https://www.mofa.go.jp/a_o/c_m1/senkaku/page1we_000009.html accessed 11.09.2023

[32] Sato and Chadha. ''Understanding the Senkaku/ Diaoyu Islands Dispute" – 26.

[33] Terra Nullius - ტერიტორია, რომელიც არც ერთი ქვეყნის საკუთრებაში არ არის.

იაპონიის საკუთრებად გამოაცხადა. იაპონური მხარის მტკიცებით საკითხის გადაწყვეტის დროს დიდი ყურადღებითა და სიფრთხილით იმოქმედეს. სენკაკუ კუნძულები ოკინავას მხოლოდ მხოლოდ მას შემდეგ დაუქვემდებარეს, რაც დარწმუნდნენ, რომ მართლაც არცერთი სახელმწიფოს მართვის ქვეშ არ იყო მოქცეული [34].

სენკაკუს კუნძულებზე პირველი იაპონელი მოსახლეები 1895 წელს გამოჩნდნენ. ოკინავას მკვიდრმა ტაცუშირო კოგამ იჯარით აიღო კუნძული და თევზი ბონიტოს გამოსაშრობი საწარმო დაარსა. ისინი აგრეთვე აგროვებდნენ ბუმბულებს და ჰყიდნენ. იმ პერიოდში დაახლოებით 200 ადამიანი დასახლდა კუნძულებზე [35].

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ისევე, როგორც მთელი იაპონია, სენკაკუს კუნძულებიც აშშ-ს დროებითი ოკუპაციის ქვეშ აღმოჩნდა. 1951 წელს, აშშ-იაპონიას შორის გაფორმებული სამშვიდობო ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად, აშშ-ს ადმინისტრირების ქვეშ მოექცა ოკინავას პრეფექტურა, ხოლო სენკაკუს კუნძულები ნანსეი შოტოს (რიუკიუს კუნძულები - ოკინავას პრეფექტურა) შემადგენელ ნაწილად მიჩნეულ იქნა. ზემოთ აღნიშნულ ტერიტორიას აშშ, სამხედრო წვრთნებისთვის იყენებდა. 1971 წლის, 17 ივნისს იაპონია-აშშ შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც ეხებოდა ოკინავას პრეფექტურის კვლავ იაპონიის მმართველობაში დაბრუნებას. ხელშეკრულებაში სენკაკუ კუნძულებიც იყო მითითებული, როგორც ოკინავას ნაწილი. 1972 წლის 15 მაისს იაპონიამ ოკინავასთან ერთად, მასზეც აღადგინა კონტროლი.[36]

1895 წლიდან მოყოლებული ჩინეთს არ გამოუთქვამს პრეტენზიები სენკაკუს კუნძულებთან დაკავშირებით, ვიდრე 1968 წლის შემოდგომაზე გაეროს სააგენტოს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აღმოაჩინა კუნძულების მიმდებარედ ნავთობის პოტენციური საბადო. 1970 წლის 30 დეკემბერს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ოფიციალურად გამოაცხადა თავის პრეტენზიები კუნძულების მიმართ [37].

ორივე სახელმწიფოს სენკაკუს კუნძულებზე პრეტენზიების დასაცავად საკუთარი არგუმენტები გააჩნიათ, რითაც ისინი ცდილობენ თავიანთი პოზიციები გაიმყარონ.

იაპონიას გააჩნია დოკუმენტები იმის დასამტკიცებლად, რომ ჩინეთმა 1950-1960-იან წლებში ირიბად აღიარა სენკაკუს კუნძულები, როგორც იაპონიის ტერიტორიის ნაწილად. მაგალითად, 1953 წლის 8 იანვრის ჩინური გაზეთი „People's Daily“ (*Renmin Ribao)* იუწყებოდა, რომ რიუკიუს კუნძულების (რომელიც მოიცავს სენკაკუ/დიაოიუ კუნძულებს) მოსახლეობა აქტიურად ებრძვიან აშშ-ს ოკუპაციას.[38] გარდა ამისა, პეკინს არავითარი პროტესტი არ გამოუთქვამს, ამერიკის სამხედრო ძალები მიერ სენკაკუს კუნძულებს (ტაიშოს კუნძული და კუნძული კუბა) საწვრთნელად გამოყენებასთან დაკავშირებით. იაპონელები ასევე იმოწმებენ 1958

---

[34] ‘’Senkaku Islands”. https://www.mofa.go.jp/region/asia-paci/senkaku/qa_1010.html#q1 accessed 11.09.2023

[35] ‘’Senkaku Islands”. https://www.mofa.go.jp/a_o/c_m1/senkaku/page1we_000009.html accessed 12.08.2022

[36] ‘’Senkaku Islands”. https://www.mofa.go.jp/region/asia-paci/senkaku/qa_1010.html#q1 accessed 11.09.2023

[37] Sato and Chadha. ‘’Understanding the Senkaku/ Diaoyu Islands Dispute” – 49.

[38] ‘’Senkaku Islands”. https://www.mofa.go.jp/region/asia-paci/senkaku/qa_1010.html#q1 accessed 11.09.2023

წელს ჩინეთში გამოცემულ ატლასს (ხელმეორედ გამოიცა 1960 წელს), რომელიც ასახავს კუნძულებს, როგორც ოკინავას პრეფექტურას დაქვემდებარებულ „სენკაკუს კუნძულების ჯგუფს“ [39].

საერთაშორისო სამართლისა და ორმხრივი შეთანხმებების პერსპექტივიდან, ჩინეთი აცხადებს, რომ 1895 წლის 17 აპრილს გაფორმებული შიმონოსეკის ხელშეკრულებით ჩინეთ-იაპონიის ომში დამარცხებული ჩინეთი უსამართლოდ აიძულეს დაეთმო ტაივანი, პესკადორესისა და სხვა კუნძულები, შესაბამისად, იაპონიამ უარი უნდა თქვას ყველა პრეტენზიასა და უფლებამოსილებაზე ამ ტერიტორიებზე, მათ შორის სენკაკუს კუნძულებზეც. [40] საპასუხოდ იაპონიამ მიუთითა, რომ ზემოთ აღნიშნულ ხელშეკრულების მე-2 მუხლში მტკიცებულების ნაკლებობაა, იმისათვის რომ სენკაკუს კუნძულების დათმობილ, კერძოდ ტაივანის ტერიტორიებში შეყვანა მოხდეს. ვინაიდან იაპონიის კაბინეტის გადაწყვეტილება სენკაკუს კუნძულების ოკინავას პრეფექტურაში გაერთიანების შესახებ მიღებულია 1895 წლის იანვარში, ხოლო შიმონოსეკის ხელშეკრულება გაფორმდა 1895 წლის აპრილში, ამიტომ გამოთქმული პრეტენზიები არა რელევანტურია.[41] უფრო მეტიც, ვინაიდან 1951 წლის სან-ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულების მე-2 მუხლი არ განიხილავს სენკაკუს კუნძულებზე სუვერენიტეტს, იაპონია აცხადებს უფლებებს აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში ამ ტერიტორიებზე (გაერო 1952).

რა თქმა უნდა ჩინეთი არ ეგუება არსებულ რეალობას და ცდილობს თავისი პრეტენზიები ისტორიული ფაქტებისა და ძველი რუქების მოშველიებით გააძლიეროს. ჩინელები ამტკიცებენ რომ ჯერ კიდევ მინგის დინასტიის (1368-1644) პერიოდიდან კუნძულთა ჯგუფი ეკუთვნოდა ტაივანს, ხოლო ტაივანი კი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შემადგენელი ნაწილია. [42] ოფიციალური პეკინის თანახმად, 1372 წელს, რიუკიუს სამეფომ დაიწყო ხარკის გადახდა მინგის იმპერიისთვის, სანაცვლოდ 1866 წლამდე, ჩინეთის იმპერატორებმა 24-ჯერ გაგზავნის ტიტულის მიმნიჭებლები რიუკიუს სამეფოში.[43] რაც შეეხება დასახელების ჩინურ ვერსიას, დიაოიუ დაოს კუნძული პირველად ჩინურ ჩანაწერებში გვხვდება 1403 წლით დათარიღებულ წიგნში „მოგზაურობა ქარის კუდით“. [44]

---

[39] ‘’Senkaku Islands”. https://www.mofa.go.jp/region/asia-paci/senkaku/qa_1010.html#q1 accessed 11.09.2023

[40] ‘’The Diaoyu Islands: The owner and the thief’’. Ministry of Foreign Affairs of the People's Republic of China. https://www.fmprc.gov.cn/eng/topics_665678/diaodao_665718/201210/t20121022_701846.html last modifed 12.10.2012

[41] ‘’Senkaku Islands”. https://www.mofa.go.jp/region/asia-paci/senkaku/qa_1010.html#q1 accessed 11.09.2023

[42] ‘’Diaoyu Dao, an Inherent Territory of China”. Ministry of Foreign Affairs of the People's Republic of China. https://www.fmprc.gov.cn/eng/topics_665678/diaodao_665718/201209/t20120926_701830.html last modified 26.09.2012

[43] ‘’Diaoyu Dao, an Inherent Territory of China”. https://www.fmprc.gov.cn/eng/topics_665678/diaodao_665718/201209/t20120926_701830.html last modified 26.09.2012

[44] ‘’Diaoyu Dao, an Inherent Territory of China”. https://www.fmprc.gov.cn/eng/topics_665678/diaodao_665718/201209/t20120926_701830.html last modified 26.09.2012

პეკინი მიუთითებს მინგისა და ცინგის დინასტიების (1644-1912) პერიოდში გაკეთებულ სხვა ჩანაწერებზეც. მაგ. 1534 წლით დათარიღებულ იმპერიული ტიტულის მიმნიჭებელ ჩენ კანის ჩანაწერში, იმპერიული ჩინეთის ელჩების შესახებ, რომლებიც გაგზავნეს რიუკიუს სამეფოში იმპერიული ტიტულის მინიჭებისთვის, აღნიშნულია მარშრუტი ჩინეთიდან რიუკიუმდე. მარშრუტი შემდეგნაირი იყო: ჩინეთიდან ვიდრე რიუკიუს კუნძულებამდე მიაღწევდნენ, მათ გაიარეს დიაოიუ დაოს კუნძულები და მიაღწიეს გუმის კუნძულს (დღევანდელი კუმეს კუნძული). ჩინელები ამტკიცებენ, რომ დიაოიუ დაო ჩინეთს, ხოლო კუმეს კუნძული ეკუთვნოდა რიუკიუს და გამყოფი ხაზი მდებარეობდა სწორედ ჩივეი იუსა (კუნძული ტაიშოს ჩინური დასახელება) და კუმეს კუნძულს შორის“. [45]

გარდა ამისა, ჩინელები იშველიებენ ძველად გამოქვეყნებულ რუქებს. მაგალითად 1561 წელს ჰუ ზონგქსიანი მიერ გამოქვეყნებულ რუქა „ილუსტრირებული კრებული საზღვაო უსაფრთხოების შესახებ“, დიაოიუ დაოს კუნძულები ილუსტრირებულია, როგორც ჩინეთის ტერიტორიად და წარმოადგენდა მინგის დინასტიის მიერ სანაპირო თავდაცვის ზონის ნაწილს. ცინგის დინასტიამ კი დიაოიუ დაოს კუნძულები დაუქვემდებარა ტაივანის მმართველობას. [46]

ჩინეთი საკუთარი არგუმენტების გასამყარებლად იშველიებს ისეთი უცხოელების რუქებს, როგორებიცაა იაპონელი მეცნიერის ჰაიაში შიჰეის 1785 წელს დახატულ რუქას. ასევე 1809 წელს ფრანგი კარტოგრაფის პიერ ლაპიეს, 1811 წელს ბრიტანეთში და 1859 წელს აშშ-სა გამოცემულ რუქებს. ბრიტანეთის სამეფო საზღვაო ფლოტი 1877 წლის რუქებს, რომლებშიც დიაოიუს კუნძულები გაფერადებულია ტაივანის ან ჩინეთის მსგავსად. [47]

იაპონიის მთავრობა არ ეთანხმება მათ მიერ გამოთქმულ პრეტენზიებს და აცხადებს, რომ კუნძულის აღმოჩენა ან გეოგრაფიული სიახლოვე არაა საკმარისი ტერიტორიული სუვერენენიტეტის გასამყარებლად. ასევე ეჭვი შეაქვს, ჩინური მხარის, მათ შორის მათ მიერ მოშველიებული იაპონელი მეცნიერის მიერ დახატული რუქის სიზუსტეში, რადგან მიიჩნევს რომ ბევრი შეცდომა დაშვებული, თუნდაც ტაივანის კუნძული ზომით, ოკინავას კუნძულის დაახლოებით მესამედი ზომით არის დახატული. [48]

გარდა ისტორიული ფაქტებისა, პეკინი საკუთარი პოზიციის გასაძლიერებლად იყენებს კაიროსა (1943) და პოტსდამის (1945) კონფერენციების დეკლარაციებს. კაიროს დეკლარაციაში წერია რომ „ყველა ტერიტორია, რომელიც იაპონიამ მიითვისა ჩინელებისგან, როგორიცაა მანჯურია, ფორმოზა (ტაივანი) და პესკადორები, უნდა დაუბრუნდეს ჩინეთის რესპუბლიკას“. 1945 წლის ივლისში,

---

[45] ‘’Diaoyu Dao, an Inherent Territory of China”. https://www.fmprc.gov.cn/eng/topics_665678/diaodao_665718/201209/t20120926_701830.html last modified 26.09.2012

[46] ‘’Diaoyu Dao, an Inherent Territory of China”. https://www.fmprc.gov.cn/eng/topics_665678/diaodao_665718/201209/t20120926_701830.html last modified 26.09.2012

[47] ‘’Diaoyu Dao, an Inherent Territory of China”. https://www.fmprc.gov.cn/eng/topics_665678/diaodao_665718/201209/t20120926_701830.html last modified 26.09.2012

[48] https://www.mofa.go.jp/region/asia-paci/senkaku/qa_1010.html#q1 11.09.2023

პოტსდამის დეკლარაციის მე-8 მუხლში კი ჩაიწერა: „კაიროს დეკლარაციის პირობები უნდა შესრულდეს. იაპონიის სუვერენიტეტი შემოიფარგლება კუნძულებით ჰონშიუ, ჰოკაიდო, კიუშუ, შიკოკუ და ისეთი მცირე კუნძულები, რომლებსაც ჩვენ განვსაზღვრავთ“.[49]

ტოკიო არ ეთანხმება კაიროსა და პოტსდამის დეკლარაციების პეკინისებურ ინტერპრეტაციას და ამტკიცებს რომ იაპონიამ პირნათლად შეასრულა პოტსდამის დეკლარაცია და ჩინეთს დაუბრუნა ტაივანისა და პესკადორის კუნძულები. გარდა ამისა, დეკლარაციებში არსად არ იყო მითითებული, რომ სენკაკუს კუნძულები ტაივანის ან პესკადორის შემადგენელი ნაწილი იყო და მოკავშირეები, მათ შორის თავად ჩინეთი კუნძულებს მათ ნაწილად მიიჩნევდა. გარდა ამისა, არც ერთ დეკლარაციას არ ჰქონდა განსაკუთრებული იურიდიული ძალა და ნებისმიერი ტერიტორიული საკითხი, შემდეგი საერთაშორისო შეთანხმებებით უნდა განსაზღვრულიყო. ასეთი კი სან-ფრანცისკოს შეთანხმებას (1951) მიიჩნევენ. იაპონური მხარის მტკიცებით, როდესაც სან-ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო, სენკაკუს კუნძულები დარჩა იაპონიის ტერიტორიად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არცერთ მთავარ მოკავშირე ძალას - შეერთებულ შტატებს, გაერთიანებულ სამეფოს, საფრანგეთსა და ჩინეთს (ჩინეთის რესპუბლიკა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა) - არ გამოუთქვამს წინააღმდეგობა.[50]

სენკაკუს პრობლემა არ ეხება მხოლოდ ჩინეთ-იაპონიის ურთიერთერთობას. ვინაიდან აშშ-იაპონიას გაფორმებული აქვთ „შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის ურთიერთთანამშრომლობისა და უსაფრთხოების ხელშეკრულება“, რომლის მე-5 პუნქტის თანახმად, აშშ ვალდებულია დაიცვას იაპონია მესამე მხარის თავდასხმის შემთხვევაში. მაგრამ არავინ იცის რა მოხდება, თუ ჩინეთი შეეცდება სენკაკუს სადავო კუნძულების სამხედრო ძალის გამოყენებით დაკავებას. აშშ-ს განცხადებით, ამ ტერიტორიებს იაპონიის საკუთრებად მიიჩნევს და ეს დაადასტურა აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ, 2014 წლის 24 აპრილს, ტოკიოში. შინძო აბესთან ერთობლივ კონფერენციაზე, სადაც განაცხადა, რომ „აშშ დაიცავს იაპონიის ყველა ტერიორიოს არსებული მე-5 პუნქტის თანახმად და ამ ტერიოტორიებში შედის სენკაკუს კუნძულებიც!“.[51] 2017 წლის თებერვალში, პირველად გაიმართა იაპონურ-ამერიკული სამიტი. იაპონიის პრემიერ-მინისტრი შინძო აბე აშშ-ს პრეზიდენტ დონალდ ტრამპს შეხვდა. საბოლოოდ აშშ-მ იაპონიას კვლავ დაუდასტურა, დაადასტურა, რომ იაპონია-აშშ-ის უსაფრთხოების ხელშეკრულების მე-5 მუხლის მოიცავს სენკაკუს კუნძულებს. [52]

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი ბაიდენის ინაუგურაცია გაიმართა 2021 წლის 28 იანვარს, იაპონიის პრემიერ-მინისტრმა სუგამ და პრეზიდენტმა ბაიდენმა პირველი სატელეფონო საუბარი გამართეს. პრეზიდენტმა ბაიდენმა გამოთქვა მისი ურყევი

---

[49] ‘’Diaoyu Dao, an Inherent Territory of China”. https://www.fmprc.gov.cn/eng/topics_665678/diaodao_665718/201209/t20120926_701830.html last modified 26.09.2012

[50] ‘’Senkaku Island”. https://www.mofa.go.jp/region/asia-paci/senkaku/qa_1010.html#q1 accessed 12.09.2023

[51] ‘’Joint Press Conference with President Obama and Prime Minister Abe of Japan”. The White House President Barack Obama. https://obamawhitehouse.archives.gov/the-press-office/2014/04/24/joint-press-conference-president-obama-and-prime-minister-abe-japan last modified 24.04.2014

[52] Diplomatic Blue Book 2017. Ministry of Foreign Affairs of Japan. (2017) – 99-100.

ვალდებულება თავდაცვისთვის იაპონია, მე-5 მუხლის გამოყენების ჩათვლით იაპონია-აშშ-ის უსაფრთხოების ხელშეკრულება სენკაკუს კუნძულები.[53]

დავა სამხრეთ კორეასთან

იაპონიას კიდევ ერთი სადავო ტერიტორიას, ე.წ. დოკდოს კუნძულები წარმოადგენს. დოკდოს კუნძულები მდებარეობს იაპონიის ზღვაში,[54] კორეის ნახევარკუნძულსა და იაპონიის არქიპელაგს შორის. იგი შედგება 89 მცირე კუნძულისგან და კუნძულების საერთო ფართობი 187 კმ² შეადგენს. სამხრეთის კორეის უახლოესი კუნძული ულუნგდო მდებარობს 87 კმ. მანძილზე, ხოლო იაპონიის უახლოესი კუნძული ოკი მათგან დაშორებულია 157 კმ. მანძილზე[55].

დღესდღეობით აღნიშნულ კუნძულებს სამხრეთ კორეა აკონტროლებს, თუმცა დოკდოს კუნძულებზე პრეტენზიას აცხადებს იაპონია, რომელსაც დოკდოს სახელწოდებასთანაც გააჩნია პრეტენზია და ამტკიცებს, რომ მას ტაკეშიმას კუნძულები ეწოდება. ორივე მხარე საკუთარ პოზიციების დაცვას ისტორიული ფაქტებისა და საერთაშორისო სამართალის მოშველიებით ცდილობს.

ტოკიოს მიხედვით, დოკდოს/ტაკეშიმას შესახებ მათი ისტორიული კავშირი დასტურდება 1700-იანი წლების ბოლოს. რაც წარმოადგენს კუნძულ ოკიზე მოგზაურობაზე მოხსენებას. მათი განცხადებით, დოკდო/ტაკეშიმას მიმართ ეს ადასტურებს მის უფლებებს და სუვერენინეტს. ამ დოკუმენტის გარდა, იაპონია თავის პრეტენზიებს ამყარებს სხვა და სხვა ისტორიული მასალით, საველე ანგარიშებით, რუქებითა და საბუთებით.[56]

კორეის მიერ წარმოდგენილ ისტორიულ არგუმენტებს უფრო ძველი წარსული გააჩნია. სეულის განცხადებით პირველი ისტორიული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს კორეის უფლებებს დოკდოსთან მიმართებაში, თარიღდება 512 წლით. სწორედ ამ წელს შილას (სილას) სამეფომ დაიპყრო უსანი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ულუნგდოსა და დოკდოს კუნძულები და რითაც მტკიცდება რომ პირველად მათ ეკუთვნოდათ[57]. საპასუხოდ იაპონიის მხარე აცხადებს, რომ შილას სამეფომ დაიპყრო არა ტაკეშიმას (დოკდო), არამედ უცურიოს კუნძულები, რადგან აღწერაში მითითებულია, რომ კუნძულზე ცხოვრობდა ბევრი ადამიანი და ხარობდა ბამბუკის დიდი მცენარეები. ეს ყველაფერი კი უცურიოს კუნძულის აღწერას ჰგავს. [58]

კორეელთა განცხადებით საუკუნეთა მანძილზე კორეა კუნძულებზე ადმინისტრაციულ კონტროლს პერიოდულად ანხორციელებდა, თუმცა ისტორიულ დოკუმენტებში კუნძულებს სხვადასხვა სახელებით მოიხსენიებდნენ. მაგალითად, სეჯონგ დიდის (1397-1450) მეფობის პერიოდში გამოცემულ ანალებში

---

[53] Diplomatic Blue Book 2022. Ministry of Foreign Affairs of Japan. (2022) – 98.

[54] ცნობილია აღმოსავლეთ ზღვის სახელწოდებითაც.

[55] ‘’The Dokdo and Kuril Islands: Japan’s Twin Disputes”,https://www.e-ir.info/2022/06/27/the-dokdo-and-kuril-islands-japans-twin-disputes/ last modified 27.06.2023

[56] ‘’The Dokdo and Kuril Islands https://www.e-ir.info/2022/06/27/the-dokdo-and-kuril-islands-japans-twin-disputes/

[57] “Dokdo”. Ministry of Foreign Affairs of Republic of Korea. https://dokdo.mofa.go.kr/eng/dokdo/reason.jsp accessed 01.02.2023

[58] ‘’Takeshima”. Ministry of Foreign Affairs of Japan. https://www.mofa.go.jp/a_o/na/takeshima/page1we_000057.html accessed 01.02.2023

მითითებულია, რომ უსანის (დოკდოს) და მურუნგის (ულუნგდოს) კუნძულები მიეკუთვნება ულჯინგუნის საფეოდალოს. [59] საპასუხოდ იაპონელები ამტკიცებენ რომ უსანის კუნძული, არ შეიძლება იყოს ტაკეშიმას (დოკდო) კუნძული, რადგან როგორც ზემოთ იქნა ნახსენები, ის დიდი ალბათობით უცურიოს კუნძულია.

საკუთარი პოზიციების გასამყარებლად კორეა ასევე იშველიებს 1870 წლით დათარიღებულ იაპონურ საიდუმლო დოკუმენტს, რომელიც ეხება იაპონიის ანგარიშს ჩოსონთან[60] ურთიერთოების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი იაპონიის საგარეო საგარეო საქმეთა სამინისტროს წარუდგინა სპეციალურმა საგამოძიებო ჯგუფმა. ანგარიშში სახელად „კონფიდენციალური გამოძიება კორეის საგარეო ურთიერთობების დეტალებზე“ საუბარია რომ ტაკეშიმას (ულუნგდო) და მაცუშიმას (დოკდო) კუნძულები ეკუთვნის კორეას. [61] კორეელები ასევე იშველიებენ იაპონიის უმაღლესი ადმინისტრაციული ორგანოს დაჯოკანის მიერ გამოცემულ ბრძანებას, რომლის ადრესატიც იყო იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო. დოკუმენტში წერია რომ ჩოსონთან კონსულტაციების შედეგად დადგინდა ტაკეშიმას და კიდევ ერთ კუნძულს (დოკდოს) არავითარი საერთო არ აქვს იაპონიასთან. [62]

თავის მხრივ, იაპონური მხარეც ცდილობს ისტორიული ფაქტების მოშველიებით საკუთარი პოზიციების დაცვას. 1618 წელს შოგუნატმა ოია ჯინკიჩისა და მურაკავა იჩიბეიზე ოჯახებზე გასცა უფლება, რომ ტაკეშიმას კუნძულებზე გადასულყვნინენ სათევზაოდ, რომლის შემდეგადაც ზემოთ აღნიშნული ოჯახის წევრები მონაცვლეობით მიდიოდნენ კუნძულზე სათევზაოდ.[63] 1635 წელს შოგუნატმა დანარჩენი მსოფლიოსგან იაპონიის თვითიზოლაციის პოლიტიკა გამოაცხადა და უცხოურ გემებს აუკრძალა იაპონიაში შესვლა, ასევე აიკრძალა იაპონიიდანაც გასვლა. თუმცა ეს აკრძალვა არ შეხებია ოიასა და მურაკავას ოჯახებს და ისინი ძველებურად აგრძელებდნენ ტაკეშიმაზე თევზაობას. იაპონიის მთავარობა ამ ფაქტს იყენებს და ამტკიცებს, რომ თუ კი იაპონიის იმ დროინდელი მთავრობა ტაკეშიმას თვლიდა უცხო ტერიტორიად, მაშინ ნებართვა არ მისცემდა. ამიტომ, ამ შემთხვევაში გამოდის რომ კუნძული იაპონიის მმართველობაში იყო მოქცეული. [64]

1692 წელს, ტაკეშიმას მახლობლად დააკავეს კორეელი მეთევზეები იონგ-ბოკ ანი და ოდუნ პარკი. მათმა დაკავებამ იაპონიასა და კორეას შორის დოკდო/ტაკეშიმას გარშემო დავა გამოიწვია. ჩოსონის სამეფო კარმა ტაკეშიმაზე ოფიციალური რეგიონალური თანამდებობის პირი გააგზავნეს, რათა კუნძულზე არსებული ვითარება შეესწავლა.[65] იაპონიის მხარემ კი ცუშიმას (იაპონიის კუნძული) მმართველს სთხოვა მოლაპარაკებაში დახმარება, თუმცა წარუმატებლად დასრულდა ჩოსონთან მოლაპარაკება.[66] 1695 წლის 4 დეკემბერს

[59] “Dokdo”. https://dokdo.mofa.go.kr/eng/dokdo/reason.jsp accessed 01.02.2023

[60] კორეის სამეფოს ძველი სახელწოდება (1392-1910), ცნობილია ჯოსონის სახელწოდებიდაც.

[61] “Dokdo”. https://dokdo.mofa.go.kr/eng/dokdo/reason.jsp accessed 01.02.2023

[62] “Dokdo”. https://dokdo.mofa.go.kr/eng/dokdo/reason.jsp accessed 01.02.2023

[63] ‘’Takeshima”. https://www.mofa.go.jp/a_o/na/takeshima/page1we_000058.html accessed 29.06.2023

[64] ‘’Takeshima”. https://www.mofa.go.jp/a_o/na/takeshima/page1we_000058.html accessed 29.06.2023

[65] “Dokdo”. https://dokdo.mofa.go.kr/eng/dokdo/reason.jsp accessed 01.02.2023

[66] ‘’Takeshima”. https://www.mofa.go.jp/a_o/na/takeshima/page1we_000058.html accessed 01.07.2023

შოგუნატმა ტოტორის ჰანში[67] გაგზავნა შეკითხვა, ეკუთვნოდა თუ არა მას ტაკეშიმა და მაცუშიმა, რაზეც ჰანიდან უპასუხეს, რომ კუნძულები არ იყო იაპონიის საკუთრება. ამის შემდეგ შოგუნატმა, 1696 წლის 28 იანვარს აკრძალა ტაკეშიმაზე გადასვლა, ხოლო მოგვიანებით ჩოსონს მიწერა, რომ აღიარებდა ტაკეშიმას კორეის საკუთრებად. [68] იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განმარტებით, ეს დათმობა მოხდა, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ არ მომხდარიყო კორეასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის გაფუჭება უმნიშვნელო კუნძულის გამო. [69]

XIX საუკუნის ბოლოს, მიღებულ იქნა წესი „ვაკანტური კუნძულების პოლიტიკის“ შესახებ, რომელიც კრძალავდა დასახლებას ზედმეტად დაშორებულ კუნძულებზე. თუმცა კორეამ კვლავ აგრძელებდა კუნძულების კონტროლი. მათ გააგზავნეს მკვლევართა ექსპედიციები და გაანახლეს მათი ადმინისტრაციული სტატუსები. [70] კორეის იმპერატორმა ქოჯონგმა[71] N 41 განკარგულებით ულუნგდოს კუნძულს უწოდა ულდო, ხოლო მთელი ულუნგდო, ჩუკდო და სოკ დო (დოკდო) უნდა მოქცეულიყო ულდოს ოლქის (ულდო-გუნი) მმართველობის ქვეშ.[72]

იაპონურ მხარეს კითხვები გააჩნია კორეის არგუმენტების მიმართ. მათი მოსაზრებით კორეამ კუნძულის ოლქის ტერიოტორიად დაადგინა თვითონ უცურიო (ულუნგდო), ასევე კუნძულები ტაკეშიმა და იშიჯიმა. ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ „ტაკეშიმა“ ეხება უცურიოს კუნძულთან ახლოს მდებარე პატარა კუნძულს „ჩუკდოს“. „იშიჯიმა“ (ქვის კუნძული) რეალურად შეესაბამება დღევანდელ „დოკდოს“, რადგან კორეულ ენაში „იში“ (დოლ) გამოითქმის, როგორც „დოკი“ და ჩინური სიმბოლოებზე დაყრდნობით „იშიჯიმა“ შეიძლება დაიწეროს, როგორც „დოკდო“. თუმცა, თუ „იშიჯიმა“ შეესაბამება ამჟამინდელ „ტაკეშიმას“ (დოკდო), მაშინ ჩნდება მრავალი შეკითხვა, მათ შორის, 1900 წლის საიმპერატორო განკარგულებაში რატომ არ გამოიყენეს კუნძულების სახელწოდებად „დოკდო“, ასევე რატომ გამოიყენეს „იშიჯიმა“ და რატომ არ იყო გამოყენებული სახელი „უსანის კუნძული“ (ან სხვა სახელი), რომელიც კორეელთა მტკიცებით ტაკეშიმას ყოფილი სახელია.[73]

იაპონური მხარის ინფორმაციით, XX საუკუნის პირველ წლებში, ტაკეშიმას მიდამოებში აქტიურად დაიწყო ზღვის ლომებზე ნადირობა, რამაც მალევე გამოიწვია გადაჭარბებული კონკურენციის პრობლემები. ასე რომ, ზღვის ლომებზე ნადირობის ბიზნესის სტაბილიზაციის მიზნით, შიმანეს პრეფექტურის ოკის კუნძულების მცხოვრებმა ნაკაი იოზაბურომ, 1904 წლის სექტემბერში თხოვნით

[67] ჰანი - საფეოდალო იაპონიაში

[68] “Dokdo”. https://dokdo.mofa.go.kr/eng/dokdo/reason.jsp accessed 01.02.2023

[69] ‘’Takeshima”. https://www.mofa.go.jp/a_o/na/takeshima/page1we_000058.html accessed 01.07.2023

[70] ‘’The Dokdo and Kuril Islands https://www.e-ir.info/2022/06/27/the-dokdo-and-kuril-islands-japans-twin-disputes/

[71] ცნობილია გოჯონგის სახელითაც

[72] *Dokdo, Beautuf Island of Korea*. Ministry of Foreign Affairs of Japan. – 24 p.

[73] ‘’Takeshima”. https://www.mofa.go.jp/a_o/na/takeshima/page1we_000060.html accessed 13.09.2023

მიმართა მთავრობას „ლიანკოს კუნძულების“[74] იაპონიის ტერიტორიაზე შესვლისა და ათწლიანი იჯარის შესახებ.[75]

მთავრობამ ნაკაის მოთხოვნის საფუძველზე და შიმანეს პრეფექტურის ხელმძღვანელების მოსაზრების მოსმენის შემდეგ, 1905 წლის იანვარში მთავრობამ კაბინეტის გადაწყვეტილებით დაადგინა, კუნძულების შეყვანა შიმანეს პრეფექტურული მთავრობის ოკის კუნძულების ფილიალის იურისდიქციაში და რომ კუნძულებს ოფიციალურად ეწოდა „ტაკეშიმა“.[76]

კორეის საგარეო საქმეთა სამინისტროს მტკიცებით, 1904 წელს რუსეთთან ომის გამო, იაპონიის სამხედრო ინტერესების დასაცავად შიმანეს პრეფექტურამ გამოსცა N 40 ბრძანება, რითაც კუნძულის ინკორპორაცია მოახდინა და დაარღვია საერთაშორისო სამართალი. [77] 1905 წელს, რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ, იაპონიამ „ტერა ნულიუსის“ საფუძველზე დოკდოს კუნძული გამოაცხადა საარვისო მიწად და შიმანეს პრეფექტურას მიუერთა. კორეელებმა პროტესტი გამოთქვეს, მაგრამ მათ უკვე დაკარგული ჰქონდათ სუვერენიტეტი და შესაბამისად მათ აქტიურობას არ ჰქონია შედეგი. დოკდოს კუნძულებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იაპონიისთვის, გარდა იმისა რომ მდიდარი სათევზაო ტერიტორია იყო, ჯერ კიდევ რუსეთ-იაპონიის დროიდან გამოიყენებოდა სამხედრო-საზღვაო ბაზად. [78] რუსეთ-იაპონიის დროს დადებული პორტსმუთის ზავით კი რუსეთის იმპერიამ აღიარა კორეაზე იაპონიის უფლებები[79]. 1905 და 1907 წლებში იაპონიამ კორეას თავს მოახვია ახალი ხელშეკრულებები, რომლის ძალითაც იაპონია გამოცხადდა კორეის პროტექტორად და ჩამოართვა სუვერენიტეტი, ხოლო 1910 წელს კორეა იაპონიის კოლონია გახდა. [80]

მეორე მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ, იაპონიამ დაკარგა კონტროლი არამარტო კორეის ნახევარკუნძულზე, არამედ ტაკეშიმას კუნძულებზეც. მოკავშირეთა ძალების უმაღლესმა სარდლობამ 1946 წლის იანვარში გამოსცა N 677 ბრძანება, სადაც მითითებული იყო, რომ იაპონიას ევალებოდა დროებით შეეწყვიტა პოლიტიკური ან ადმინისტრაციული ძალაუფლების განხორციელების მცდელობა ზოგიერთ სფეროზე. შენიშვნის მე-3 პუნქტში მითითებული იყო: „ამ დირექტივის მიზნებისთვის იაპონია განსაზღვრულია, რომ მოიცავს იაპონიის ოთხ მთავარ კუნძულს (ჰოკაიდო, ჰონშუ, კიუშუ და შიკოკუ) და დაახლოებით 1000 პატარა მიმდებარე კუნძულს, მათ შორის ცუშიმას კუნძულებსა და რიუკიუს (ნანსეი) კუნძულებს ჩრდილოეთ განედიდან 30 გრადუსით ჩრდილოეთით (კუჩინოშიმას გამოკლებით)“. ასევე მითითებაში ჩამოთვლილია უცურიოს, ჩეჯუს, იზუს, ოგასავარასა და ტაკეშიმას კუნძულები, როგორც ტერიტორიებს, რომლებიც არ

---

[74] ტაკეშიმას იაპონური სასაუბრო ტერმინი, რომელიც მომდინარეობს„ლიანკურის“ კუნძულებიდან.

[75] ‘’Takeshima”. https://www.mofa.go.jp/a_o/na/takeshima/page1we_000060.html accessed 13.09.2023

[76] ‘’Takeshima”. https://www.mofa.go.jp/a_o/na/takeshima/page1we_000060.html accessed 13.09.2023

[77] https://dokdo.mofa.go.kr/eng/dokdo/reason.jsp accessed (01.02.2023)

[78] ‘’The Dokdo and Kuril Islands” https://www.e-ir.info/2022/06/27/the-dokdo-and-kuril-islands-japans-twin-disputes/

[79] 飯塚. *日清・日露戦争*. იიძუკა კაძუიუკი. ჩინეთ-იაპონიისა, რუსეთ-იაპონიის ომები – 124.

[80] 飯塚. *日清・日露戦争*. იიძუკა კაძუიუკი. ჩინეთ-იაპონიისა, რუსეთ-იაპონიის ომები – 182.

შედის იმ ადგილებში, სადაც იაპონიას უფლება ჰქონდა ემოქმედა. პოლიტიკური თუ ადმინისტრაციული ძალაუფლება.[81]

მართალია ტაკეშიმას კუნძულები მოქცეულია, იმ ტერიტორიებში, სადაც იაპონელებს ეზღუდებოდათ თავისუფალი მოქმედება, საგარეო საქმეთა სამინისტროს ყურადღებას ამახვილებს ბრძანების მე-6 პუნქტზე, სადაც წერია „„ამ დირექტივაში არაფერი არ უნდა იქნას გაგებული, როგორც მოკავშირეთა პოლიტიკის მითითება, რომელიც დაკავშირებულია პოტსდამის დეკლარაციის მე-8 მუხლში მითითებული მცირე კუნძულების საბოლოო განსაზღვრასთან“. [82] მოკავშირეთა ძალების უმაღლესმა სარდლობამ 1946 წლის ივნისში გამოსცა N 1033 ბრძანება, სადაც კიდევ ერთხელ იყო მითითებული, რომ იაპონელები კუნძულ ტაკეშიმას არ უნდა მიახლოებოდნენ, თუმცა იქვე ისევ იყო შენიშვნა დატოვებული, რომ ტერიტორიული საკითხი მოგვიანებით უნდა დადგენილიყო. სწორედ შენიშვნებს იშველიებს იაპონური მხარე ტაკეშიმაზე საკუთარი პრეტენზიების დასაცავად .[83]

1951 წელს გაფორმებულ კორეა-იაპონიას შორის სამშვიდობო ხელშეკრულებაში, მუხლი 2 (ა) იაპონიამ უარი თქვა მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მათ შორის კუნძულებზე კველპარტი (ჯეჯუდო), პორტ ჰამილტონი (ქეომუნ-დო) და დაგელატი (ულუნგდო) და სხვა 3 000 კუნძულზე. [84] მართალია, კორეამ აშშ-ს ხელშეკრულების გაფორმებამდე სთხოვა, რომ კუნძულთა ჩამონათვალში კველპარტთან, პორტ ჰამილტონთან და დაგელატთან ერთად მკაფიოდ ჩაწერილიყო დოკდო და პარანგდოც, თუმცა აგვისტოში, აშშ-მ საპასუხო წერილში ეწერა, რომ მათი ინფორმაციით დოკდოს/ტაკეშიმას კუნძულები არასოდეს ყოფილა კორეის ტერიტორია და ის 1905 წლიდან იყო კუნძულ ოკის იურისდიქციაში (შიმანეს პრეფექტურა). იაპონური მხარეს ასევე იშველიებს ელჩ ვან ფლეტის 1954 წლის მოხსენებას, სადაც ის მიუთითებს რომ ტაკეშიმა/დოკდო არის იაპონიის ტერიტორია. [85]

როგორც ვხედავთ, სან-ფრანცისკოს ხელშეკრულების ბუნდოვანმა ტექსტმა კუნძულებთან დაკავშირებით, დოკდოს საკითხი ვერ გადაჭრა, რადგან ტექსტში არ იყო დოკდოს კუნძულები ნახსენები. ამიტომ ტოკიო თვლის რომ დოკდო უსამართლოდ აქვს დაკარგული, საპასუხოდ სეული ამტკიცებს, რომ მიუხედავად იმისა რომ ტექსტში არაა ნახსენები ზემოთ აღნიშნული კუნძულები, ის ნაგულისხმევია, ისევე როგორც სხვა დანარჩენი 3 000 მეტი კუნძული, ხოლო ჩანაწერში ნახსენები 3 კუნძული, უბრალოდ მაგალითის სახით არის ჩაწერილი, რომლის დათმობაც იაპონიას მოუწია.[86]

საინტერესო იყო აშშ-ს პოზიცია დოკდოსთან მიმართებაში. ვინაიდან ხელშეკრულების გაფორმების დროს კორეის ომი მიმდინარეობდა და გაურკვეველი იყო ომის ბედი, ამიტომ აშშ თავს იკავებდა მკაფიოდ

[81] ‘’Takeshima” https://www.mofa.go.jp/a_o/na/takeshima/page1we_000061.html accessed 19.09.2023

[82] ‘’Takeshima” https://www.mofa.go.jp/a_o/na/takeshima/page1we_000061.html accessed 19.09.2023

[83] ‘’Takeshima” https://www.mofa.go.jp/a_o/na/takeshima/page1we_000061.html accessed 19.09.2023

[84] “Dokdo”. https://dokdo.mofa.go.kr/eng/dokdo/reason.jsp accessed 01.02.2023

[85] “Dokdo”. https://dokdo.mofa.go.kr/eng/dokdo/reason.jsp accessed 01.02.2023

[86] “Dokdo”. https://dokdo.mofa.go.kr/eng/dokdo/reason.jsp accessed 19.09.2023

დაეფიქსირებინა კორეის სასარგებლო პოზიცია, რადგან თუ კი ომში ჩრდილო კორეა გაიმარჯვებდა, შესაბამისად კუნძულებიც მას დარჩებოდა, ამ საფრთხის აცილების მიზნით კი დოკდოს საკითხი გაურკვეველი დარჩა. [87]

1952 წლის იანვარში, სამხრეთ კორეის რესპუბლიკს პრეზიდენტმა სუნგმან ლიმ[88] გამოსცა დეკლარაცია ე.წ. „სუნგმან ლის ხაზის“ შესახებ, რომლებიც მოიცავდა კორეის კანონიერ ტერიტორიებს. აღნიშნულ ხაზის შიგნით მოაქცია კუნძული დოკდო/ტაკეშიმაც.[89] 1953 წლის მარტში აშშ-იაპონიას შორის შედგა შეთანხმება, რომლის საფუძველზეც ამერიკელებმა უარი თქვეს ტაკეშიმას ბომბდამშენების არეალად გამოყენებაზე და იაპონელ მეთევზეებს თავისუფლად თევზაობის უფლება მიეცათ. იმავე წლის ივლისში ინციდენტი მოხდა იაპონიის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს საპატრულო კატარღასა და კორეელ მეთევზეებს შორის, რომლებიც ტაკეშიმასთან თევზაობდნენ. იაპონელებმა მეთეევზებს ტერიტორიის დატოვება მოსთხოვეს, რომლის საპასუხოდ საკუთარი მეთევზეთა დასაცავად გამოგზავნილმა კორეელმა სამხედროებმა ცეცხლის გაუხსნეს იაპონიის კატარღას.[90]

1954 წლის ივნისში, სამხრეთ კორეის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა სამხედრო ბატალიონის სადავო კუნძულზე მუდმივად განთავსების შესახებ. იმავე წლის აგვისტოში კიდევ ერთხელ გაუხსნეს ცეცხლი იაპონიის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს საპატრულო კატარღას. ამის შემდეგ კორეამ უსაფრთხოების ძალები განათავსა დოკდო/ტაკეშიმაზე და ააშენა საცხოვრებლები, მონიტორინგის ობიექტი, შუქურა და პორტი, დოკი და სხვა ობიექტები. [91]

იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით „ე.წ. სუნგმან ლის ხაზის წარმოადგენს ღია ზღვის უკანონო დახაზვას, ხოლო ტაკეშიმას ოკუპაცია სამხრეთ კორეის რესპუბლიკის მიერ წარმოადგენს უკანონო ქმდებას, რომელიც განხორციელდა საერთაშორისო სამართლის საფუძვლის გარეშე“. [92] 1954 წლის სექტემბერში ტოკიომ პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარების მიზნით სეულს შესთავაზა საკითხის მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში განეხილათ, თუმცა უარი მიიღეს. მას შემდეგ კიდევ რამდენჯერმე მოსთხოვა იაპონიამ სასამართლოს გზით დავის მოგვარება, თუმცა კორეა კვლავ უარზეა [93].

სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიხედვით „ხელისუფლების (იაპონიის) წინადადება სხვა არაფერია, თუ არა სასამართლო პროცედურების სახით შენიღბული მორიგი ცრუ მცდელობა. კორეას აქვს ტერიტორიული უფლებები „ab initio“[94] დოკდოზე და ვერ ხედავს მიზეზს, თუ რატომ უნდა მოითხოვოს ასეთი უფლებების გადამოწმება რომელიმე საერთაშორისო

[87] ‘’The Dokdo and Kuril Islands” https://www.e-ir.info/2022/06/27/the-dokdo-and-kuril-islands-japans-twin-disputes/

[88] ცნობილია სინგმან რის სახელითაც

[89] ‘’Takeshima” https://www.mofa.go.jp/a_o/na/takeshima/page1we_000064.html accessed 01.02.2023

[90] ‘’Takeshima” https://www.mofa.go.jp/a_o/na/takeshima/page1we_000064.html accessed 01.02.2023

[91] ‘’Takeshima” https://www.mofa.go.jp/a_o/na/takeshima/page1we_000064.html accessed 01.02.2023

[92] ‘’Takeshima” https://www.mofa.go.jp/a_o/na/takeshima/page1we_000064.html accessed 01.02.2023

[93] ‘’Takeshima” https://www.mofa.go.jp/a_o/na/takeshima/page1we_000065.html accessed 19.09.2023

[94] ლათინურად ნიშნავს „დასაწყისიდან“

სასამართლოში“. კორეის ხელისუფლება დღემდე უცვლელად აგრძელებს მისი პოზიციის დაცვას. [95]

დასკვნა

როგორც წარმოდგენილმა კვლევამ დაადასტურა, იაპონიის სადავო ტერიტორიების მშვიდობიანი გზით მოგვარება საკმაოდ რთული საკითხია. დაპირისპირებული მხარეს საკუთარი სიმართლის დადასტურებისთვის მრავალი ისტორიული ფაქტი და საერთაშორისო სამართალში არსებული ნორმები მოჰყავთ, ხოლო მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ კონტრ-არგუმენტებს ეჭვის ქვეშ აყენებენ. რუსეთ-უკრაინის ომში, რუსეთის დამარცხებამ, შესაძლოა ხელი შეუწყოს იაპონიისთვის 4 კუნძულის დაბრუნებას. ხოლო რუსეთის გამარჯვება დიდი ხნით შეაჩერებს რუსეთ-იაპონიის დავის მოგვარებას, გარდა ამისა, შესაძლოა წაახალისოს მოდავე მხარეები, რათა არსებული პრეცედენტი გამოიყენოს და სადავო ტერიტორიის სამხედრო ძალით დაბრუნება შეეცადოს, რაც ომის ახალ კერას წარმოქმნის.

ბიბლიოგრაფია:

1. Diplomatic Blue Book 2017. Ministry of Foreign Affairs of Japan. (2017);
2. Diplomatic Blue Book 2022. Ministry of Foreign Affairs of Japan. (2022)
3. Dokdo, Beautuf Island of Korea. Ministry of Foreign Affairs Republic of Korea. https://dokdo.mofa.go.kr/eng/pds/pdf.jsp
4. Serafetin Yilmaz. ‘’The Dokdo and Kuril Islands: Japan’s Twin Disputes’’, in Asian Territorial and Maritime Disputes: A Critical Introduction. ed. Moises de Souza, Dean Karalekas Gregory Coutaz. E-International Relations, 2022;
5. The Northen Territories. Published by the Ministry of Foreign Affairs of Japan, 2014; https://www.mofa.go.jp/region/europe/russia/territory/pamphlet.pdf
6. Yichiro Sato and Astha Chadha. ‘’Understanding the Senkaku/ Diaoyu Islands Dispute: Diplomatic, Legal, and Strategic Contexts’’, in Asian Territorial and Maritime Disputes: A Critical Introduction. ed. Moises de Souza, Dean Karalekas Gregory Coutaz (E-International Relations, 2022
7. 飯塚 一幸. 日清・日露戦争と帝国日本. 吉川弘文館, 2016 . იიძუკა კაძუიუკი. ჩინეთ-იაპონიისა, რუსეთ-იაპონიის ომები და იაპონიის იმპერია, იოშიკაკოუბუნკან, 2016;
8. 宮地正人『国際政治下の近代日本』, 山川出版社、1987, -მიაიჩი მასატო, საერთაშორისო ურთიერთობების ქვეშ მყოფი თანამედროვე იაპონია (ტოკიო, იამაგავა 1987);

ინტერნეტ-რესურსები:

1. ‘’Diaoyu Dao, an Inherent Territory of China”. Ministry of Foreign Affairs of the People's Republic of China.

[95] “Dokdo”. https://dokdo.mofa.go.kr/eng/dokdo/faq.jsp accessed 19.09.2023

https://www.fmprc.gov.cn/eng/topics_665678/diaodao_665718/201209/t20120926_701830.html
2. “Dokdo”. Ministry of Foreign Affairs of Republic of Korea. https://dokdo.mofa.go.kr/eng/dokdo/reason.jsp
1. http://www.asahi.com/ajw/articles/AJ201811150039.html
2. https://thediplomat.com/2018/09/putin-offers-japan-peace-treaty-without-any-pre-conditions/
3. ‘’Irkutsk Statement by the Prime Minister of Japan and the President of the Russian Federation on the Continuation of Future Negotiations on the Issue of a Peace Treaty”. Ministry of Foreign Affairs of Japan. https://www.mofa.go.jp/region/europe/russia/pmv0103/state.html ;
4. ‘’Japan-Russia peace talks to focus on 2 of 4 disputed islands”, last modified 15.11.2018,
5. ‘’Joint Press Conference with President Obama and Prime Minister Abe of Japan”. The White House President Barack Obama. https://obamawhitehouse.archives.gov/the-press-office/2014/04/24/joint-press-conference-president-obama-and-prime-minister-abe-japan
6. ‘’Kuril Islands dispute between Russia and Japan”, last modified 29/04/2013, https://www.bbc.com/news/world-asia-pacific-11664434’
7. ‘’Northern Territories Issue”. Ministry of Foreign Affairs of Japan. https://www.mofa.go.jp/region/europe/russia/territory/overview.html ;
8. ‘’Putin Offers Japan ‘Peace Treaty Without Any Pre-Conditions”. last modified 14.09.2018,
9. ‘’Russia, Japan set 2018 fishing quotas in Kuril Islands zone”, last modified 23.11.2018, https://www.undercurrentnews.com/2017/11/23/russia-japan-set-2018-fishing-quotas-in-kuril-islands-zone/
10. ‘’Senkaku Islands”. Ministry of Foreign Affairs of Japan https://www.mofa.go.jp/a_o/c_m1/senkaku/page1we_000009.html
11. ‘’Takeshima”. Ministry of Foreign Affairs of Japan. https://www.mofa.go.jp/a_o/na/takeshima/page1we_000057.html
12. ‘’The Diaoyu Islands: The owner and the thief’’. Ministry of Foreign Affairs of the People's Republic of China. https://www.fmprc.gov.cn/eng/topics_665678/diaodao_665718/201210/t20121022_701846.html
13. ‘’The Dokdo and Kuril Islands: Japan’s Twin Disputes”
14. ‘’Tokyo Declaration on Japan-Russia Relations”. Ministry of Foreign Affairs of Japan. https://www.mofa.go.jp/region/n-america/us/q&a/declaration.html#:~:text=Japan%20and%20Russia.-,The%20Government%20of%20Japan%20and%20the%20Government%20of%20the%20Russian,have%20been%20conducted%20within%20the ;
15. ‘’Vladimir Putin offers Kuril Islands peace deal to Japan's Abe“. last modified 12.09.2018, https://www.dw.com/en/vladimir-putin-offers-kuril-islands-peace-deal-to-japans-abe/a-45459525
16. ‘’北方領土 ２島返還の既定路線を否定 露「妥協が必要」“, last modified 18.11.2018, https://mainichi.jp/articles/20181119/k00/00m/030/119000c